სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 ივლისი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/127

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **,,საფინანსო სერვისები (მე-3 დონე) 2026 წელს** (საშემოდგომო მიღება) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ **აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ **ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის** დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის** MES 5260000447700 **ბრძანების,** ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის** MES 1260000447805 **ბრძანების,** ,,აპლიკანტის მიერ, 2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, აპლიკანტისათვის რეიტინგში მისი ადგილის შესახებ (რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთის, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება, არჩევის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის MES** 0260000447804 **ბრძანების,** ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის **2026 წლის 17 აპრილის** MES 7260000447784 **ბრძანების, ,,2026 წელს** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის** MES 2260000447707 **ბრძანების,** ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **მინისტრის 2026 წლის 17 აპრილის** MES 1260000447779 **ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საფინანსო სერვისები" 2026 წელს მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 11 მაისის №01-02/103 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **,,საფინანსო სერვისები" 2026 წლის შემოდგომაზე ჩარიცხვისათვის** აპლიკანტთა შეფასების ადგილის, თარიღისა და კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 ივნისის №01-02/86 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 03 ივნისის №01-

02/98 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტის სარეგისტრაციო განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 12 ივნისის №01-02/109 ბრძანების, ,,ბსუ-ს **პროფესიულ საგანმანათლებლო** პროგრამაზე ,,საფინანსო სერვისები (მე-3 დონე) ჩარიცხვის (2026 წლის საშემოდგომო მიღება) მიზნით **აპლიკანტთა** რეიტინგული სიის **დამტკიცების** შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 03 ივლისის №01-08/460 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 03 ივლისის № 845433 ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **,,საფინანსო სერვისები (მე-3 დონე)** 2026 წელს (საშემოდგომო მიღება) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა **აპლიკანტებმა ბსუ-ში რეგისტრაციის,** პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების გაფორმების, პირადი საქმის გახსნისა და აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით 2026 წლის 06 ივლისიდან 2026 წლის 09 ივლისის ჩათვლით **წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) აპლიკანტის **სარეგისტრაციო განცხადება,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართით** განსაზღვრული ფორმის შესაბამისად შევსებული (არასრულწლოვანი/ შეზღუდულქმედუნარიანი/მხარდაჭერის მიმღები აპლიკანტის შემთხვევაში - ავსებს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი);

ბ) **აპლიკანტის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი** (არასრულწლოვანი/შეზღუდულქმედუნარიანი/მხარდაჭერის მიმღები აპლიკანტის შემთხვევაში - მშობლის/კანონიერი <u>წარმომადგენლის პირადობის მოწმობა,</u> ასევე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - **აპლიკანტის დაბადების მოწმობა** ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განცხადების წარმოდგენაზე და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილებას);

გ) **აპლიკანტის საბაზო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი** - ,,საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, უნდა წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარების შესახებ);

დ) **აპლიკანტის ორი ფოტოსურათი 3X4-ზე** (მათ შორის ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი);

ე) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი (აღრიცხვას დაქვემდებარებული აპლიკანტების შემთხვევაში);

ვ) აპლიკანტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა;

2. აპლიკანტების სარეგისტრაციო განაცხადები და დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს **ელექტრონულად** - ბსუ-ს ელფოსტაზე: info@bsu.edu.ge **ან/და მატერიალურად** - ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია): ბსუ-ს №1 კორპუსი, ოთახი №1 (მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35).

3. აპლიკანტების მიერ სარეგისტრაციო განაცხადებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, <u>2026 წლის 06 ივლისიდან 2026 წლის 09 ივლისის ჩათვლით</u> პერიოდში მათთან გაფორმდეს პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებები, ბსუ-ს

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრის ადმინისტრაციაში** (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, VI კორპუსი, III სართული, ოთახი №303).

4. აპლიკანტი (კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისათვის განსაზღვრულ ვადაში, ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს წინამდებარე ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია მატერიალური სახით, კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლები (თუკი აპლიკანტის სარეგისტრაციო განცხადება და დოკუმენტები წარმოდგენილი იყო მხოლოდ ელექტრონული სახით).

5. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს:

ა) აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების შესახებ ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „განცხადებები") განსათავსებელი განცხადების ტექსტის მომზადება, აპლიკანტთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება (ბსუ-ს ვებგვერდზე განცხადებასთან ერთად უნდა განთავსდეს: 1. სარეგისტრაციო განცხადების ფორმა; 2. პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ფორმა; 3. პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი; 4. ბსუ-ს შინაგანაწესი; 5. ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; 6. ბსუ-ს სხვა რეგულაციები, რომლებიც აღნიშნულია პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაში).

ბ) აპლიკანტების მიერ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, ფორმით და წესით, ელექტრონულად ან/და მატერიალური სახით წარმოდგენილი და ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ასახული აპლიკანტების სარეგისტრაციო განაცხადების და თანდართული დოკუმენტაციის დამუშავება, აღნიშნულ პირებთან გასაფორმებელი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ფორმების მომზადება (მონაცემების შევსება);

გ) აპლიკანტების სარეგისტრაციო განცხადებებში აღნიშნულ ელფოსტის მისამართებზე ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის გზამკვლევის, პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების და ბსუ-ს იმ რეგულაციების დამატებით დაგზავნა, რომლებიც აღნიშნულია ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაში (რომელთა გაცნობის დადასტურებაზე აცხადებს თანხმობას აპლიკანტი, ხელშეკრულების გაფორმებით და ხელმოწერით), ასევე სტუდენტის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით/ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად სხვა დამატებითი ინფორმაციის მიწოდება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

დ) ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან წინამდებარე ბრძანებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებების გაფორმება, აღრიცხვა და გაფორმებული ხელშეკრულებების თაობაზე სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა აპლიკანტების თანდართული სიით (სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის კოორდინირებით, ცენტრის საქმისწარმოებაზე (სტუდენტთა პირადი საქმის გახსნა-წარმოებაზე) პასუხისმგებელმა პირმა უნდა მოამზადოს ჩასარიცხი აპლიკანტების სია, შემდეგი მონაცემების მითითებით: აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი; გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი და გაფორმების თარიღი)).

6. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე **გამოიცეს ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება,** არაუგვიანეს **2026 წლის 13 ივლისისა.**

7. **ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება,** პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაცია, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ აისახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'' და ველში ,,რექტორის ბრძანებები"), ასევე განთავსდეს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციაში არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

9. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები (მე-3 დონე) 2026 წელს (საშემოდგომო მიღება) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 03 ივლისის №01-02/127 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული **აპლიკანტის** (მონაცემთა სუბიექტის) სარეგისტრაციო **განცხადება** **(ბსუ-ს შინაგანაწესის და სხვა რეგულაციების გაცნობის დადასტურებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის განაცხადი)**	
ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის დასახელება,** რომელზეც ჩარიცხვის უფლება მოიპოვა აპლიკანტმა (მონაცემთა სუბიექტი)	
ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული **აპლიკანტის** (მონაცემთა სუბიექტის) **პერსონალური მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია**	
სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
რეგისტრაციის მისამართი:	
ფაქტობრივი მისამართი:	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	
ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული არასრულწლოვანი (შშმ/სსსმ) აპლიკანტის **კანონიერი წარმომადგენლის** (მშობელი/მეურვე) **პერსონალური მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია**	
სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
რეგისტრაციის მისამართი:	
ფაქტობრივი მისამართი:	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	
მოვიპოვე წინამდებარე განაცხადში აღნიშნულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება. აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მიზნით **გთხოვთ გამიფორმოთ პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება.** ამასთან, <u>ვადასტურებ, რომ გავეცანი</u> ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებულ <u>„ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმას</u>“ და მასში აღნიშნულ ბსუ-ს რეგულაციებს, მათ შორის <u>ბსუ-ს შინაგანაწესს,</u> რომელიც პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. **ვადასტურებ ხელმოწერით:** ----------	
პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა	
<u>განმცხადებელი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს ინფორმირებულ თანხმობას,**</u> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, რეგისტრაციის/საცხოვრებელი მისამართი, ფოტო), პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის მონაცემები (დასწრების, შეფასების შედეგების, დიპლომის/დიპლომის დანართის დამზადებისა და გაცემის შესახებ), აგრეთვე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ),	

საგანმანათლებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისათვის. მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ ინფორმირებულია ბსუ-ს ტერიტორიაზე (შესასვლელები, გარე პერიმეტრი, ეზო, დერეფნები, კიბის უჯრედები, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები) უსაფრთხოებისა და ქონების დაცვის მიზნით მიმდინარე 24-საათიანი ვიდეომონიტორინგის შესახებ, ასევე საგამოცდო სივრცეებში – ვიდეომონიტორინგის გამოცდების/ტესტირების პერიოდში განხორციელების თაობაზე, „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ და ვიდეომონიტორინგის წესის შესაბამისად. მონაცემთა სუბიექტი ასევე **აცხადებს თანხმობას,** რომ ბსუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე გადაღებული მისი ფოტო/ვიდეო მასალა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა საინფორმაციო რესურსებში. მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს წინასწარ თანხმობას** მისი პერსონალური მონაცემების გადაცემაზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესში ჩართული ორგანიზაციებისათვის, თუ აღნიშნული აუცილებელია უნივერსიტეტის სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად ან ბსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია** მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ბსუ უზრუნველყოფს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით. განმცხადებელი (მონაცემთა სუბიექტი) **ადასტურებს (აცხადებს),** რომ **ინფორმირებულია მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით. განმცხადებელი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია** პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეუძლია მიმართოს ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, მათ შორის, ელფოსტაზე: mariam.mamuladze@bsu.edu.ge მონაცემთა სუბიექტი აგრეთვე ინფორმირებულია, რომ მას აქვს უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე **გამოიხმოს წინამდებარე თანხმობა,** რის შემდეგაც ბსუ შეწყვეტს მონაცემთა დამუშავებას, თუ არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძველი. **ვადასტურებ ხელმოწერით:** ----------

განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები	
1. აპლიკანტის პირადობის მოწმობის ასლი - (-- ფურცელი) 2. განმცხადებლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი - (-- ფურცელი); 3. კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (აპლიკანტის დაბადების მოწმობა/კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი/სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა/სხვა). (- - ფურცელი); 4.	
განცხადების წარმოდგენის თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	
აპლიკანტის ხელმოწერა:	
აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) **ხელმოწერა**	